ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

ვანის მუნიციპალიტეტი
საქართველო

მარტი 2020

მერის მიმართვა

ვანი უნდა გახდეს საინტერესო, მიმზიდველი, ცხოვრებისა და დასვენებისათვის ხელსაყრელი პატარა ევროპული მუნიციპალიტეტი. შესაბამისი ტრადიციებითა და თანამედროვეე ინფრასტრუქტურით, განვითარებული ტურიზმით, აგროსექტორითა და მრეწველობის სხვადასხვა დარგებით, ეკონომიკური სტაბილურობით, განათლების, კულტურის, სპორტის, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობით.

ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა ჩავრთულიყავით ევროკავშირის ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" (M4EG). აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული იქნა ვანის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP), რომელის განხორციელებაც მიზნად ისახავს ეკონომიკის სისტემური განვითარების ხელშეწყობას.

სამოქმედო გეგმის შექმნის პროცესში, თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყვნენ კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. აღნიშნული თანამშრომლობის გზით, მიღწეული იქნება საკუთარი შესაძლებლობების გაფართოება და ტექნიკური უნარების უკეთ განვითარება.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა და მე პირადად, მადლობას ვუხდით ყველას ვინც მონაწილეობა მიიღო გეგმის მომზადებაში და გამოვთქვამთ მზადყოფნას, ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" (M4EG) ფარგლებში, კერძო და სამოქალაქო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით განვახორციელოთ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები და მონიტორინგი, რაც მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

პატივისცემით,

ვანის მუნიციპალიტეტის მერი
ალექსანდრე გოგორიშვილი

დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირთათვის.

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:
სახელი: ზაზა ოჩხიკიძე
თანამდებობა: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
მისამართი: ქ.ვანი, თავისუფლების ქუჩა N 65
ტელეფონი: 579 011041
ელ-ფოსტა: info@vani.gov.ge
ვებ-გვერდი: www.vani.gov.ge

1. მოკლე შეჯამება

ვანის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის მთავარ მიზანს მდგრადი ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს, რის მიღწევასაც საკუთარი შესაძლებლობების გაფართოებით, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობითაა შესაძლებელი.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებით აქტიურად შეეწყობა ხელი ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უზრუნველყოფილ იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხელსაყრელი პირობების შექმნა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამონაწილეობის, საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

მუნიციპალიტეტში და მთლიანად ქვეყანაში ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენცია, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშემწყობი პროგრამები სოფლის მეურნეობის დარგში და მეწარმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები ვანის მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას თავისი ძლიერი მხარეების გათვლისწინებით, გახდეს მიმზიდველი ადგილი ბიზნესის განვითარებისა და ვიზიტისთვის. ამისათვის, ვანის მუნიციპალიტეტმა დაისახა სამი მიზანი: ტურისტული პოტენციალის განვითარება, სამეწარმეო უნარებისა და სამუშაო ძალის განვითარება, ადგილობრივი მეწარმეობის მხარდაჭერა.

მიზნების მისაღწევად მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ორი წლის განმავლობაში. ძირითადი აქტივობებია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტულად მიმზიდველ გარემოს შექმნა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება; აგრო ბიზნესის და ტურიზმის განვითარების კუთხით ტრენინგების ჩატარება; ახალგაზრდებისათვის, ქალებისათვის, შშმ პირებისთვის და ინკლუზიური ჯგუფებისთვის, სამეწარმო და სამუშაო უნარების გაძლიერებისთვის შეხედრების ჩატარება; სტარტაპერებისა და მოქმედი მეწარმეებისთვის დაფინასების შესაძლებლობებზე ერთ სივრცეში ინფორმაციის მიწოდება; მეწარმეების შეხვედრები საფინანსო ინსტიტუტებთან.

ღონისძიებების ნაწილი შესრულდება სახელმწიფოსა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ნაწილი აქტივობები დაგეგმილია დონორი ორგანიზაციებისა და საქვემოქმედო ფონდების მოძიების იმედად, საჭიროა გააქტიურდეს მუშაობა დაფინანსების გარე წყაროების მოსაძიებლად.

2. სარჩევი

მერის მიმართვა
1. მოკლე შეჯამება
2. სარჩევი
3. ცხრილები, გრაფიკები და შემოკლებები
4. გეგმის შესავალი
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი
6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი
6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები
6.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია
6.4 ფინანსებზე ხელმისაწვდომობა
6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა
6.6 მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო
6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა
6.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი
7. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზი
8. ხედვა და მიზნები
9. სამოქმედო გეგმა
10. დაფინანსების სქემა
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

დანართები:
დანართი „ა“ - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი.
დანართ „ბ“ - ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სექტორების შესახებ.

3. ცხრილები და შემოკლებები

3.1. ცხრილები
ცხრილი 1. სამოქმედო გეგმა
ცხრილი 2. დაფინანსების სქემა
ცხრილი 3. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმი

3.2. შემოკლებები
LED – ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება
SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები

4. გეგმის შესავალი

ევროკავშირის ინიციატივა მერები ეკონომიკური ზრდისთვის ფარგლებში შექმნილ კლუბის წევრი ვანის მუნიციპალიტეტი გახდა 2020 წლის მარტში. კლუბის წევრად გახდომისას აღებული ვალდებულების შესასრულებლად, ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავდა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით და მოიცვა შემდეგი სამი ბლოკი: მიწა და ინფრასტრუქტრა; ადამიანური კაპიტალი და ინკლუზიურობა; გარე პოზიციონირება და მარკეტინგი.

გეგმის მოსამზადებლად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განიხილა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის არსებული საჭიროებანი, გაითვალისწინა თითოეული მათგანის მოსაზრება, მათთან ერთად დაესახა ის მიზნები, რომლებიც საფუძვლად დაედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს.

ვანის მუნიციპალიტეტი დედაქალაქთან დაშორებულია 280 კმ-ით, მანძილი რეგიონის ცენტრამდე - ქუთაისამდე 45 კმ-ია, უახლოესი საზღვაო პორტი-ფოთი 100 კმ-ია, ხოლო უახლოესი აეროპორტი - კოპიტნარი 50 კმ.

მუნიციპალიტეტის 557 კვ.კმ-ზე, ერთ ქალაქსა და 42 სოფელში 25,4 ათასი ადამიანი ცხოვრობს. აქედან 51.8% ქალია. მოსახლეობის საშუალო ასაკი - 42-ია, ქალაქად მაცხოვრებელი მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში შეადგენს 16,5%. ვანის მუნიციპალიტეტში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი 58%-ია.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა ეს არის კერძო და საჯარო სექტორთან მჭიდრო დიალოგით შექმნილი გეგმა, რომელიც ფოკუსირებულია კერძო სექტორის განვითარებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური ზრდა, განვითარება და დასაქმება მუნიციპალიტეტში. დოკუმენტი თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის საშუალო ვადიანი განვითარების და 2020-2022 წლების პრიორიტეტების დოკუმენტებთან, საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან „საქართველო 2020“ და იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021-სთან, 2020-22 წლების საპილოტე ინტეგრირებული რეგიონულ განვითარების პროგრამასთან, საქათველოს ტურიზმის სტრატეგიასთან.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავდა კონკრეტული ეკონომიკური გამოწვევების გადასაჭრელად, კერძო-საჯარო დიალოგის გზით ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების მიზნით, გეგმა შემუშავებულ იქნა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სტანდარტების თანახმად, ინიციატივის სამდივნოს მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაგამოიყოფა 32 ათასი ლარი, გეგმის განსახორციელებლად საჭირო მთელი ბიუჯეტია 5172000 ლარი.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებისას მერის უშუალო ჩართულობით მოხდა ადგილობრივ ხელისუფლების, ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ონლაინ შეხვედრის გამართვა, ინიციატივის კონცეფციის გაცნობა, ჩატარდა ონლაინ შეხვედრები ეკონომიკური აქტიორების ცალკეული სექტორებთან, მათთან შეთანხმებით მოხდა სამუშაო ჯგუფისა და ადგილობრივი ეკონომიკური პარტნიორობის ჩამოყალიბება. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით LED გეგმის

მოსამზადებლად შეიქმნა 4 კაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელიც კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდა. სამუშაო ჯგუფი შედგა ორი მამაკაცისა და ორი ქალისაგან, სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ადგილობრივი LED პარტნიორობა, რომელიც დაკომპლექტდა ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, საგანმანათლებლო და ჯანდაცვითი ინსტიტუტების წარმომადგენლებისაგან, ჯამში 13 წევრისაგან. აქედან 3 ქალი. 23 % საზოგადოებრივი სექტორი, დნარჩენი საჯარო სამსახურების წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფი წინასწარ ამზადებდა საკითხებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებისა და დისკუსიისთვის, შემდგომ კი განიხილავდა საპარტნიორო ჯგუფთან ერთად მათთან შეჯერებულ მოსაზრებებს, რომელთა გაანალიზების შედეგად კეთდებოდა დასკვნები. პროცესში აქტიურად ჩართული იყვნენ სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენლები, საშუალო და მცირე მეწარმეები, სოფლის მეურნეობის დარგის წარმომადგენლები, ტურიზმის სფეროთი დაინტერესებული პირები, სხვადასხვა საზოგადოებრივი და სამოქალაქო ორგანიზაციები, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ადგილობრივი წარმომადგენლები, ადგილობრივი რესურსცენტრის წარმომადგენლები, ადგილობრივი ტურიზმის წარმომადგენელი და პედაგოგები, დაინტერესებული მოსახლეობა.

ონლაინ შეხვედრები იმართებოდა თვეში 2-3 ჯერ. გეგმის შემუშავების პროცეში აქტიურად მიდიოდა იმერეთის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან მოსაზრებების გაცვლა და ერთნაირ აქტივობებზე შეხედულებების ჩამოყალიბება.

გეგმის შემუშავების პროცესში, ონლაინ შეხვედრებისა და საჯარო განხილვების გარდა გამოყენებულ იქნა ონლან გამოკითხვები, ინტერვიუები. შედეგად გამოიკვეთა არსებული პოტენციალის გამოყენებისა და გამოწვევების დაძლევის კონცეფცია, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა განვითარების ხედვა, მთავარი მიზნები, და მთავარი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი: ვანის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური მიმართულებებით წამყვანი არის სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტურიზმი და მომსახურების სფერო.

მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა და მთავარი გზებიდან დაშორება საშუალებას იძლევა სოფლის მეურნეობის ბიო მიმართულებით განვითარებისთვის, რასაც ადგილობრივი მდიდარი სამეურნეო რესურსებიც უწყობს ხელს.

მთლიანი ფართობის 34% (19268 ჰა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. აქედან 9213 ჰა საძოვარია, 4800 ჰა სახნავი, ხოლო 5245 ჰა მრავალწლიანი კულტურები. მოსახლეობის საკუთრებაშია 10028 ჰა.

მრავალწლიანი ნარგავების ფართობები შემდეგნაირადაა განაწილებული: ვენახი 950 ჰა, ხეხილი 450 ჰა, სუბტროპიკული და ტექნიკური (დაფნა) კულტურები 376 ჰა. ციტრუსი 125 ჰა, ჩაი 45 ჰა, კაკლოვანი კულტურები 2653 ჰა, სხვა დანარჩენი 646 ჰა.

ბოლო წლებში შეინიშნება თხილის ფართობების მასიური განაშენიანება, რაც გამოწვეულია თხილზე მზარდი მოთხოვნილებით და ხელსაყრელი ფასებით. ხდება უცხოური ახალი ჯიშის თხილის ნერგების შემოტანა და ახალი ბაღების გაშენება.

45 ჰექტარზე გაშენებული ჩაის პლანტაცია შემორჩენილია წინა საუკუნიდან, რომელიც დღეს თითქმის სულ დეგრადირებულია, აღნიშნული ფართობი ამჟამად არ ატარებს სამეურნეო დანიშნულებას.

მუნიციპალიტეტის მცენარეული საფარის მრავალფეროვნება და რაოდენობა სერიოზულ რესურს ქმნის მეფუტკრეობის განვითარებისათვის. მოსახლეობის საკუთრებაშია 6100 სკა ფუტკარი. 2018 წელში წარმოებული იქნა 69 ტონა თაფლი.

ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ფერმერული მეურნეობების რიცხვი. მთლიანობაში მუნიციპალიტეტის მაშტაბით დარეგისტრირებულია 1064 ფერმერული მეურნეობა, რომელიც წამყვანი დარგების მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება განაწილდეს: მეთხილეობა 574, მეცხოველეობა 149, მეფუტკრეობა 143, მემარცვლეობა 130, ბაღჩეული-ბოსტნეულის და მწვანილის წარმოება 77, მეციტრუსეობა 14 და მეფრინველეობა 11 (ინფორმაცია იხ. დანართ „ბ"-ში). მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეხილეობას. თანდათანობით ხდება ძველი ბაღების აღდგენა და ახალი კულტურების გაშენება. შესამჩნევია ხილის დამზადება და საკონსერვო წარმოების განვითარების ზრდა. განსაკუთრებით ბოლო წლებსი მეტად ხელსაყრელი გახდა ტყემლის კულტურების მოშენებას და მის დამზადებას. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა დაფნის წარმოება.

მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარება სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მცირეა მოქმედი საშუალო და მცირე საწარმოების რაოდენობა. ყოველივე ეს გამოწვეულია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობით და მიგრაციის მაღალი დონით.

ვანის მუნიციპალიტეტში მსუბუქი და მძიმე მრეწველობა ნაკლებადაა განვითარებული. მიუხედავად მუნიციპალიტეტის ტურისტული მიმზიდველობისა, რესტორნებისა და სასტუმროების რაოდენობა მცირეა.

ვანის მუნიციპალიტეტის ყველაზე ცნობილი ტურისტული ობიექტია ვანის ანტიკური ხანის ნაქალაქარი და არქეოლოგიური მუზეუმი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი „სულორი" და ბალნეოლოგიური კურორტი - ამაღლება. კურორტები ცნობილია თერმული რადიაქტიული მინერალური და დაბალი მინერალიზაციის სუსტი სულფიდური სულფატურ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი მინერალური წყლებით, რომლის ტემპერატურა, როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის პერიოდში 38 გრადუსს აღწევს. იყენებენ აბაზანებისათვის საყრდენ-სამოძრაო აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემის და გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ.

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები: ვანის მუნიციპალიტეტის როლი ბიზნეს სექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის შეიძლება გამოიხატოს ისეთი ღონისძიებით, როგორიცაა ბუნებრივ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მხარდაჭერა. მუნიციპალიტეტში არ არსებობს თანამშრომლობისა და კომუნიკაციის სტრუქტურული მექანიზმი, ასევე შეინიშნება თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე კერძო სექტორის მხრიდან. ბოლო წლებია აქტიურად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის წახალისება. სახელმწიფო პროგრამები და საერთაშორისო ორგანიზაციები ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს არა მხოლოდ ფინანსურ გაძლიერებაში, არამედ კვალიფიკაციის ამაღლებაში ტრენინგებისა და სწავლებების გზით. შესაბამისად, იქმნება ერთგვარი პლათფორმა, სადაც სხვადასხვა კოოპერატივების წარმომადგენლებს ეძლევათ ერთმანეთთან საუბრისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა. რაც შეეხება თანამშრომლობას ბიზნეს კომპანიებსა და მუნიციპალიტეტს შორის - არსებობს ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება. ხშირია მერის ინიციატივით შეხვედრები სხვადასხვა სექტორთან, კერძოდ:

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლების მეშვეობით, საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის და

სარგებლის მიღების მიზნით, საკონსულტაციო ცენტრი დროდადრო ხვდება მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს, გასცემს და აგროვებს ინფორმაციას მიმდინარე პროექტებზე და პროექტებში ჩართულობაზე.

• შეხვედრები ხდება სამშენებლო ბიზნესის, ასევე მცირე და საშუალო ბიზნეის წარმომადგენლებთან, საკითხები შეეხება დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მუნიციპალიტეტის ცნობიერების ამაღლების მიზნით განსახორციელებელ მაშტაბურ პროექტებს და იდეებს, ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისა და იჯარით გაცემის საკითხებს, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მხარდაჭრას, ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

• შეხვედრები იმართება ახალგაზრდულ ჯგუფებთან და კერძო სექტორთან ტურისტული პოტენციალისა და პროფესიული უნარების განვითარების საკითხებზე.

• იმართება შეხვედრები სამრეწველო სექტორის ბუნებრივი აირისა და წყალმომარაგების კომპანიების წარმომადგენლებთან.

6.3 ბიზნესისადმი მეგობრული და გამჭვირვალე ადმინისტრაცია: მუნიციპალიტეტს არ აქვს ბიზნეს კომპანიებისთვის ინფორმაციისა და სერვისების მიწოდების გამოცდილება. ინფორმაციის მიწოდება ხდება მოთხოვნის შესაბამისად, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მათ მიმართ მიდგომები ზოგიერთ შემთხვევაში სუბიქტურია. განსაკუთრებით დამწყებ მეწარმეებს უძნელდებათ არსებულ საკანონმდებლო ნორმებსა და რეგულაციებზე ინფორმაციის მოძიება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი წარმომადგენლობა ადგილობრივ ფერმერებთან პერიოდულად ატარებს საინფორმაციო სახის შეხვედრებს და ასვევე ფერმერებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არი.

მიუხედავად მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაერთი მცდელობისა, დღემდე დაბალია საკრებულოს სხდომებზე მოსახლეობის, კერძო და სამოქალაქო სექტორის ჩართულობის დონე. მერიის ვებ-გვერდი და მერიის საინფორმაციო სამსახური, ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს აშუქებენ. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საკუთარი სატენდერო წინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და ყველა გადაწყვეტილება იტვირთება სააგენტოს ვებ გვერდზე. მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაციები მოქმედი ნორმატიული აქტების შესახებ, აუქციონების და ტენდერების შესახებ.

მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა ან პრივატიზება ხორციელდება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ელექტონულ აუქციონში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

6.4 ფინანსებზე ხელმისაწვდომობა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ორი საბანკო და ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ისინი გასცემენ სესხებს მცირე კომპანიებსა და აგროსექტორზე 5000 ლარამდე გირაოს გარეშე, თუმცა სესხის პროცენტი მაღალია.სესხის მეტ ოდენობაზე საბანკო მოთხოვნები იზრდება და ბიზნეს კომპანიები დამატებით სირთულეებს აწყდებიან სესხებისათვის საჭირო გირაოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ სესხების გაცემის საკითხი განიხილება ბანკების რეგიონულ და სათაო ოფისებში, რაც დამატებითი ბარიერია ბიზნეს სექტორისთვის.

გარდა საბანკო სექტორისა, დამწყები და არსებული ბიზნესებისთვის არსებობს ფინანსებზე

წვდომის სხვადასხვა შესაძლებლობები, რომელთა შორისაა სახელმწიფო პროგრამები სოფლის მეურნეობის დარგში, ეკონომიკის სამინისტროს პროგრამა „აწარმოე საქართველო", საკრედიტო ორგანიზაციები, ბიზნეს ხელშემწყობი პროგრამები.
მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობისა და ინოვაციური მეწარმოეების დარგში არსებობს სხვადასხვა სახის სახელმწიფო პროგრამები, რომლის ფარგლებშიც დამწყებ, მცირე და საშუალო ბიზნესებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ სახელმწიფო დაფინანსება, ბიზნეს გეგმების შემუშავებაში ცოდნისა და გამოცდილების არ ქონის გამო დაფინანსებას ვერ ღებულობენ. ასევე, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მთავარ პრობლემებად გამოიკვეთა მეწარმეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების და ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების გრანტებისა და დახმარებების შესახებ ინფორმაციის სიმცირე.

6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა: ვანის მუნიციპალიტეტში იზრდება მოთხოვნა მიწასა და შენობებზე. მოთხოვნა ძირითადად ფიქსირდება მიკროკომპანიებისთვის შესაფერის იზოლირებულ სავაჭრო, სასაწყობე და სამაცივრე სივრცეებზე, აღნიშნულ მოთხოვნებს მუნიციპალიტეტი ნაწილობრივ აკმაყოფილებს. მუნიციპალიტეტში სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფართობია 19258 ჰა, აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 10028 ჰა, დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა, აქედან 20 % გამოუყენებელია. კერძო საკუთრებაში არსებული ფართობებიდან უმრავლესობა 70% მცირე ნაკვეთებია (ერთ ჰექტრამდე).

მუნიციპალიტეტში არსებული შენობების ნაწილი სხვადასხვა სამინისტროს საკუთრებაშია, რაც ართულებს აღნიშნული ქონების გამოყენებას ბიზნესის მიერ. სახელმწიფო მის საკუთრებაში არსებულ ქონებას მაღალ, შეუსაბამო საპრივატიზებო ფასს ადებს, რის გამოც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მათ მიერ ქონების გასხვისების შემთხვევები მცირეა.

6.6 მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩოები: მუნიციპალიტეტში პრობლემად რჩება დაურეგულირებელი გარევაჭრობა, განაშენიანებისა და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის არარსებობა, დროში იწელება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, მიწისა და ინფრასტრუქტორის პრივატიზებითა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცედურები, რაც გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნის კერძო ბიზნეს.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის კომპეტენციები ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ჭრილში საკმაოდ შეზღუდულია და ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას წარმოადგენს.

საქართველოში ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურები სხვა ქვეყნებთან შედარებით მარტივია. ნებისმერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ერთ დღეში დაარეგისტრიროს თავისი ბიზნესი. რეგისტრაციას ახორციელებს სახელმწიფო იუსტიციის სახლი.

6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა: ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ტურიზმის განვითარება, თუმცა ამ კუთხით კვალიფიციური კადრების დეფიციტია. ამ სექტორში დასაქმებულებს განათლება აქვთ ისეთ სფეროში, რომლებზედაც შრომის ბაზარზე მოთხოვნა ნაკლებია.

საგანმანათლებლო სისტემა არ პასუხობს ბიზნეს სექტორის რეალურ საჭიროებებს. მუნიციპალიტეტიდან შრომისუნარიანი და კვალიფიციური კადრები გადინებულია დედაქალაქში, რეგიონის ცენტრში და ქვეყნის გარეთ. შიდა მუნიციპალური დასაქმების სააგენტო არ არსებობს, დასაქმების მსურველები პირადი კონტაქტებით ან ინტერნეტრესურსებით იძიებენ ვაკანსიებს. არ არსებობს კოორდინაცია მუნიციპალიტეტს, ბიზნეს სექტორს და საგანმანათლებლო ორგანიზაციებს შორის. მხოლოდ ზოგიერთი ბიზნეს კომპანია უზრუნველყოფს სწავლებას მხოლოდ მათი საჭიროებების მიხედვით, მაგრამ ამას არ აქვს ორგანიზებული ხასიათი და ეს არ არის შეთანხმებული ამავე სექტორში

მომუშავე სხვა კომპანიებთან. ადამიანური რესურსების, მოთხოვნადი პროფესიებისა და ადგილობრივი ბაზრის საჭიროებების შესახებ კვლევები არ ტარდება.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან 90-იანი წლების ჩათვლით ვანში ფუნქციონირებდა შუამთის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომელსაც გააჩნდა ძლიერი მატერიალურ ტექნიკური ბაზა. იგი ამზადებდა სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებს და არა მარტო ვანის რაიონის მასშტაბით.

მიუხედავად იმისა, რომ ვანში დიდი მოთხოვნაა აგრობიზნესის განვითარებაზე და საჭიროა სხვადასხვა დარგის აგროსპეციალისტები, ამჟამად მუნიციპალიტეტში არ არსებობს არც ერთი პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რაც ძალიან უარყოფით გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის განვითარებაზე. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდები სწავლას სხვა მუნიციპალიტეტებში აგრძელებენ, რომელთა უმეტესი ნაწილი უკან აღარ ბრუნდება. საკმაოდ დიდი ნაწილი კი რჩება ყოველგვარი განათლების გარეშე, რაც კიდევ ერთხელ ასაბუთებს ზრდასრულთა პროფესიული განათლების მექანიზმების არსებობის აუცილებლობას.

6.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი: ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების კარგ საშუალებას იძლევა მთისა და ტყის მასივები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები (ეკლესიები და ციხე კოშკები) და მუზეუმები. მაგრამ ვანის მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათს ვანის არქეოლოგიური მუზეუმი წარმოადგენს. იგი მდებარეობს, ვანის ნაქალაქარის მიდამოებში. ვანის მუზეუმში დაცული მასალა მოიცავს პერიოდს ძვ. წ. VIII საუკუნიდან - I საუკუნის ჩათვლით. აქ ინახება ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობები, ნუმიზმატიკის ნიმუშები და სხვა. მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია მის ტერიოტორიაზე არსებული კლიმატურ ბალნეოლოგიური და ბალნეოლოგიური კურორტები.

მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით ადგილობრივი კულტურის მუშაკები და ხელოვნების სხვადსხვა სეგმენტის წარმომდგენლები იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში და ფესტივალებში, ასევე მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა ღონისძიებები, როგორიცა ვანელობა, გალაკტიონობა, ტიციანობა, სადაც ხდება ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა, სხვადასხვა ღონისძიებების გამართვა კულტურის სფეროში, ღონისძიებებში ჩართულია სკოლამდელი, სკოლის ასაკის ბავშვები, სხვდასხვა საჯარო თუ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. ღონისძიებებზე ჩამოდის ძალიან ბევრი სტუმარი, როგორც საქართველოდან ასევე სხვა ქვეყნებიდანაც.

ვანის ანტიკური თუ შუასაუკუნეების ისტორიისცნობადობის გაზრდით, ასევე სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით, შესაძლებელია ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების დაინტერესება და მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში კულტურული საყოფაცხოვრებო და მატერიალური ცხოვრების დონის ამაღლებას. ვანი გახდება ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის მომხიბვლელი, ვიზიტორებისათვის მიმზიდველი და ბიზნესისათვის ხელსაყრელი ადგილი.

7. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• ანტიკური და შუასაუკუნეების მდიდარი ისტორიული წარსული, ბალნეოლოგიური კურორტები ტურიზმის განვითარებისათვის; • კარგი ბუნებრივი კლიმატური პირობები სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის: • სოფლის მეურნეობის მრავალფეროვანი კულტურების არსებობა (მარცვლეული, ბაღჩეული, კაკლოვანი, კურკოვანი, ციტრუსისა და სხვა ყოველგვარი ხილეულობის მრავალფეროვნება); • ბუნებრივ ცხელ წყლებზე ხელმისაწვდომობა სასათბურე მეურნეობების განვითარებისათვის; • მდიდარი ტყის, წყლის რსურსები და ბიომრავალფეროვნება; • სასარგებლო წიაღისეულით სიმდიდრე; • ალპური საძოვრების არსებობა; • კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის არსებობის მაგალითების არსებობა; • ბიზნეს სექტორის განვითარების ხელშეწყობის მაგალითების არსებობა; • ბიზნესისთვის ინფორმაციისა და სერვისების მიწოდების გამოცდილება. • კორუფციის შესამცირებლად ტენდერებისა და აუქციონების მოწყობა ონლაინ; • კერძო სექტორში უძრავ ქონებაზე მოთხოვნის გაზრდა;	• მუნიციპალიტეტის მწირი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების სიმცირე; • ფერმერების აგრალური ცოდნის დაბალი დონე და ვეტ. მომსახურების არაკვალიფიციურობა; • მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობის გამო დასაქმებულობის მობილობის დაბალი დონე; • ფინანსებზე ხელმუისაწვდომობა; განსაკუთრებით პრობლემურია მცირე და საშუალო, ასევე დამწყები ბიზნესისათვის; • საბანკო-საფინანსო ინსტიტუტების მაღალი საპროცენტო განაკვეთი; • ბიზნესსა და მუნიციპალიტეტს შორის თანამშრომლობის არაინსტიტუციურობა; • დამწყები მეწარმეებისთვის საკანონმდებლო ნორმებისა და რეგულაციებზე ინფორმაციის მიღების სირთულე; • მოსახლეობის ჩართულობის დონე; • საბანკო დაწესებულებებშიფინანსებზე წვდომის დაბალი დონე მაღალი საგარანტიო მოთხოვნებისა და ადმინისტრაციული ბარიერების გამო; • ადგილობრივი ბიზნესის მიერ ბიზნეს-გეგმის შემუშავების უნარების არ ქონის გამო სახელმწიფო პროგრამებიდან ფინანსებთან წვდომის დაბალი დონე; • ადგილობრივ მეწარმეებს შორის ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამების შესახებ ინფორმაციის სიმცირე; • დაურეგულირებელი გარევაჭრობა. განაშენიანებისა და მიწათსარგებლობის გეგმის არარსებობა; • მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორს და საგანმანათლებლო ორგანიზაციებს შორის კორდინაციის არ არსებობა;
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• გადამამუშავებელი საწარმოების და ფერმერთა კოოპერატივების პროცესების სტიმულირება; • მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობის ცნობადობის ასამაღლებლად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტები;	• ეპიდემიები; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ცუდი მენეჯმენტი;

SWOT ანალიზიდან გამომდინარე ჩანს, რომ ჯერ კიდევ დაბალია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების დონე, თუმცა ძლიერი მხარეების გათვალისწინებით განვითარების შესაძლებლობები დიდია.

8. ვანის მუნიციპალიტეტის ხედვა და მიზნები

ხედვა:

ვანის მუნიციპალიტეტი მიმზიდველი ადგილი ბიზნესის განვითარებისა და ვიზიტისთვის.

ხედვა გრძელვადიანია, მაგრამ მისი მიღწევა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის სამოქალაქო საჯარო და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობით და სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთობლივი ძალისხმევით.

მიზნები:

1. ტურისტული პოტენციალის განვითარება.
2. სამეწარმეო უნარებისა და სამუშაო ძალის განვითარება.
3. ადგილობრივი მეწარმეობის მხარდაჭერა.

9. სამოქმედო გეგმა

გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი.

ცხრილი 1. სამოქმედო გეგმა

თემატური ბლოკები	მთავარი მიზნები	ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება)	მონაწილე პარტნიორები	საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)	მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები	შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები
5. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი.	1. ტურისტული პოტენციალის განვითარება.	1.1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.	08/2020-08/2022	სახელმწიფო რგფ-ის ფონდი. მუნიციპალიტეტი.	5,000,000 ლარი. (1445090 EUR)	ახლადმოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურა. 1. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მოწყობილია 2. ტურიზმის ცენტრი ამუშავებულია 3. ლაბაჯოურის მონასტერთან მისასვლელი გზა და საფეხმავლო ხიდის მოწყობილია	ტურისტული ინფრასტრუქტურა მოწყობილია პანდემიასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.
		1.2. მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.	08/2020-07/2022	მუნიციპალიტეტი	135,000 ლარი (39 020 EUR)	მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი ამოქმედებულია. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობებისა და ცნობილი ადამიანების შესახებ ყოველწლიურად	მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ცნობადობა გაიზრდება 20%-ით.

თემატური ბლოკები	მთავარი მიზნები	ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება)	მონაწილე პარტნიორები	საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)	მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები	შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები
						ვრცელდებ 5 საინფორმაციო წყაროს საშუალებით.	
2. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ჩართულობა.	2. სამეწარმეო უნარებისა და სამუშაო ძალის განვითარება.	2.1. აგრო ბიზნესის და ტურიზმის სექტორის წარმომადგენლების თვის ტრენინგების ჩატარება.	09.2020-08,.2022	მუნიციპალიტეტი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ვანის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახური.	15,000 ლარი (4335 EUR)	დატრეინგებული 30 აგრო ბიზნესი და ტურიზმის სექტორის 25 წარმომადგენელი.	ამაღლებულია აგრო ბიზნესის და ტუეიზმის სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაცია.
		2.2. ტრეინინგების ჩატარება სამეწარმო უნარების გაძლიერებისთვის. აგროსექტორისათვის შეხედრები ფერმერებთან და ბიზნეს სექტორთან.	10/2020-08/2022	მუნიციპალიტეტის	12,000 ლარი (3470 EUR)	ჩატარებულია 5 ტრენინგი 200 მონაწილისთვის, მ.შ.-ის 100 ახალგაზრდისტვის, 100 ქალისთვის, 50 შშმ პირებისთვის.	100 მა მონაწილემ დაიწყო ბიზნესი.
4. ფინანსური ხელმისაწვდომობა	3. ადგილობრივი მეწარმეობის მხარდაჭერა.	3.1. სტარტაპერების და მოქმედი მეწარმეებისთვის, აგროსექტორის წარმომადგენლების	01/2021-07/2022	მუნიციპალიტეტი	5,000 ლარი (1445 EUR)	მუნიციპალიტეტში შექმნილია შესაბამისი ერთეული	გაზრდილია მეწარმეთა ინფორმირებულობის დონე ფინანსური რესურსების შესახებ

თემატური ბლოკები	მთავარი მიზნები	ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება)	მონაწილე პარტნიორები	საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)	მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები	შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები
		თვისდაფინასების შესაძლებლობებზე ერთ სივრცეში ინფორმაციის მიწოდება.					
		3.2. მეწარმეთა შეხვედრები საფინანსო ინსტირუტებთან	01/2021-07/2022	მუნიციპალი ტეტი დონორები	5,000 ლარი (1445 EUR	პირველი ყოველწლიური B2B შეხვედრა ჩატარებულია	ინფორმირებულობა მეწარმეთა საჭიროებებისა დასაფინანსო ინსტიტუტების პირობების შესახებ.

10. დაფინანსების სქემა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაფინანსების სქემაში გათვალისწინებული ღონისძიებების საორიენტაციო ღირებულება გაწერილია მსგავსი ღონისძიებების მაგალითზე და ასახავს როგორც კაპიტალურ, ასევე სხვა სახის ხარჯებს. სამოქმედო გეგმაში შტანილი მაღალი დონის ბიუჯეტის თანხების მიმართვა გეგმის განსახორციელებლად და ამ თანხების მოცულობა, შეთანხმებულია შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან. სამოქმედო გეგმაში აღწერილი ღონისძიებების დაფინანსების მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 5 172 000 ლარი. აქედან განსაზღვრულია რომ ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდება 32 000 ლარი. წყვეტა დაფინანსებაში არ არის.

ცხრილი 2. დაფინანსების სქემა

ღონისძიებები	საორიენტაციო ღირებულება	დაფინანსების წყარო				დანაკლისი დაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მაღალი დონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტულად მიმზიდველ გარემოს შექმნა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით	5,000,000 ლარი (1445090 EUR)		5,000,000 ლარი (1445090 EUR)			-	
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება	135 000 ლარი (39 020 EUR)		135,000 ლარი. (39 020 EUR)			-	
3. აგრო ბიზნესის და ტურიზმის განვითარების კუთხით ტრენინგების ჩატარება	15,000 ლარი. (4 335 EUR)	15,000 ლარი. (4 335 EUR)				-	
4. ახალგაზრდებისათვის, ქალებისათვის, შშმ პირებისთვის და ინკლუზიური ჯგუფებისთვის, სამეწარმო და სამუშაო უნარების გაძლიერებისთვის შეხედრების ჩატარება	12,000 ლარი. (3 470 EUR)	12,000 ლარი. (3 470 EUR)				-	
5. სტარტაპერებისა და მოქმედი მეწარმეებისთვის დაფინასების შესაძლებლობებზე ერთ სივრცეში ინფორმაციის მიწოდება	5,000 ლარი. (1 445 EUR)	5,000 ლარი. (1 445 EUR)				-	
6. მეწარმეების შეხვედრები საფინანსო ინსტიტუტებთან.	5,000 ლარი. (1 445 EUR)				5,000 ლარი. (1 445 EUR)	-	
ჯამი	5,172,000 ლარი. (1 494 805 EUR)	32,000 ლარი. (9 250 EUR)	5,135,000 ლარი. (1 484 110 EUR)		5,000 ლარი. (1 445 EUR)	-	-

10. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული ღონისძიებები ოთხი საანგარიშო პერიოდის მიხედვით არის დაყოფილი (თითოეული 6 თვე) შუალედურ მოსალოდნელ შედეგებთან ერთად. გეგმის ოფიციალურად დამტკიცების დროს, პარტნიორების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მოხდება მონიტორინგის კომიტეტის შექმნა სადაც უზრუნველყოფილი იქნება გენდერული ბალანსი და წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი თვითმართველობის, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელები, კომიტეტი მონიტორინგს გაუწევს გეგმის შესრულებას, ორგანიზებას გაუწევს კვარტალურ შეხვედრებს და მოამზადებს გეგმის შერულების შუალედურ ანგარიშებს.

ცხრილი 3. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება	მოსალოდნელი შედეგები	მოსალოდნელი შედეგები	მოსალოდნელი შედეგები	მოსალოდნელი შედეგები
1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტულად მიმზიდველ გარემოს შექმნა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით	08/2020-08/2022	ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელებულია ტურისტულ-რეკრეაციული ზონის პროექტირების, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვა	მოძიებულია დაფინანსება რგპფ-ის ფინდიდან	მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები	შექმნილია მოწესრიგებული ტურისტულად მიმზიდველი ინფრასტრუქტურა, ტურისტული საჭიროებების გათვლით
2. მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.	08/2020-07/2022	ინფორმირებულობა	ინფორმირებულობა	ინფორმირებულობა	ინფორმირებულობა
3. აგრო ბიზნესის და ტურიზმის განვითარების კუთხით ტრენინგების ჩატარება	09/2020-08/2021		შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო დატრენინგებულია 30 პირი აგროტურებში და 25 ტურიზმის წარმომადგენელი	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო დატრენინგებულია 30 პირი აგროტურებში და 25 ტურიზმის წარმომადგენელი	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო დატრენინგებულია 30 პირი აგროტურებში და 25 ტურიზმის წარმომადგენელი
4. ახალგაზრდებისათვის, ქალებისათვის, შშმ პირებისთვის და ინკლუზიური ჯგუფებისთვის, სამეწარმო და სამუშაო უნარების გაძლიერებისთვის შეხედრების ჩატარება	10/2020-08/2022		შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა,ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები,	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები,	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები,

ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება	მოსალოდნელი შედეგები	მოსალოდნელი შედეგები	მოსალოდნელი შედეგები	მოსალოდნელი შედეგები
			ცნობიერება ამაღლებულია 200 პირი	ცნობიერება ამაღლებულია 200 პირი	ცნობიერება ამაღლებულია 200 პირი
5. სტარტაპერებისა და მოქმედი მეწარმეებისთვის დაფინასების შესაძლებლობებზე ერთ სივრცეში ინფორმაციის მიწოდება	01/2021-07/2022		მერიაში შექმნილია სტრუქტურირებული ერთეული და დანიშნულია პირი მოქმედი მეწარმეების-თვის დაფინასების შესაძ-ლებლობებზე ინფორმაციის მიწოდებაზე	ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე გაწეულია აქვს მომსახურება 30 პირს	ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე გაწეულია აქვს მომსახურება 70 პირს
6. მეწარმეთა შეხვედრები საფინანსო ინსტიტუტებტან	01/2021-072021		მეწარმეები ინფორმირებულია საფინანსო სექტორთან კავშირის შესაძლებლობების შესახებ.	მეწარმეები ინფორმირებულია საფინანსო სექტორთან კავშირის შესაძლებლობების შესახებ.	მეწარმეები ინფორმირებულია საფინანსო სექტორთან კავშირის შესაძლებლობების შესახებ.
მთლიანი ბიუჯეტის დახარჯული % (საორიენტაციო)	100%	10%	30%	30%	30%